| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი** 1877—1893


პარასკევს, 16 აპრილს, კათოლიკეთა ეკკლესიაში ქ. ახალციხის ახალ ნაწილში, მილიონის ქუჩაზედ, გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ახალციხის მემამულის **კირილე იაკობის ძის კაჩხოევის** მოსახსენებლად, რასაც მისი **ქვრივი ეკატერინე იაკობის ასული კაჩხოევისა ასულითურთ** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთაა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## ივერიის რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

## ახალი ამბავი

⁂ კვირას მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ვლადიმერი მიბრძანდა სალამოს ლოცვაზედ ჩუღურეთის წმიდა ნიკოლოოზის ეკკლესიაში და მოისმინა სრული ლოცვა. ლოცვაზე მამა მიხეილ მახათაძემ სთქვა ქართულად სიტყვა შესახებ კვირის დღესასწაულისა.

ლოცვაზედ გალობდნენ იმავ ეკკლესიის სამრევლო სასწავლებლის მოსწავლენი—ქალნი და ვაჟნი.

შემდეგ ლოცვისა ყოვლად-უსამღვდელოესმა დალოცა, დაარიგა ბავშვები და უთხრა, დიდად მესიამოვნა თქვენი გალობაო.

დასასრულ მოსწავლეებმა იგალობეს „ისპოლა“ და მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი წაბრძანდა ეკკლესიიდგან.

⁂ ოფიციალურის ცნობებიდამა სჩანს, რომ 8 მარტიდგან 1 აპრილამდე ტფილისში ავად გამხდარა: ხუნაგით 7, ქუნთრუშით 17, სახადით 1 და წითელათი 2 კაცი. ამავე დროს გარდაცვლილა: ხუნაგით 2, ქუნთრუშით 1 და სახადით 1 კაცი.

⁂ კვირას, 11 აპრილს, კრება იყო ტფილისის საკრედიტო საზოგადოების წევრთა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პ. ა. გურგენბეგოვი. კრებამ განიხილა და დაამტკიცა წარსულ წლის ანგარიში საზოგადოების მმართველობისა და ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა. დიდი კამათობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კუპონების განაღდების დროს საზოგადოების ფული მეტი გადაუყოლებიათ, თუმცა-კი ვერ გამოირკვა, როდის და რა მიზეზისა გამო. ბ-ნი ტიგრანოვი, ხაზინადარი სამმართველოსი, კრებამ კენჭის ყრით საზოგადოების სამსახურიდგან დაითხოვა. შემდეგ არჩევანები იყო. მმართველობის თავმჯდომარედ ხელახლად არჩეულ იქმნა თ. ნ. ი. ამატუნი, 45 ხმის უმეტესობით 4 წინააღმდეგ. ზედამხედველ კომიტეტის წევრად: ი. გურგენბეგოვი (37 თეთრი და 8 შავი) და ნ. ენიკოლოფოვი (33 თეთ. და 12 შავი); მმართველობის დირექტორის კანდიდატად: პ. გურგენბეგოვი (34 თეთ. და 11 შავი) და ა. აფიანცი (27 თეთ. და 18 შავი); სარევიზიო კომისიის წევრებად: ს. ენიკოლოფოვი (38 თეთრი და 7 შავი), ხ. არვანოვი (32 თეთ. და 13 შავი) და ი. დიდებულიძე (33 თეთ. და 12 შავი).

კრება დაიწყო დილის $10^1/_2$ საათს და გათავდა საღამოს $4^1/_2$ საათს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზით ჩაუტანიათ ბაქოში ოდესიდამ გამოგზავნილი 1,000 ბოჭკა შაქარი სპარსეთსა და კასპიის ზღვის იქითა მხარეს გასაგზავნად.

⁂ კვირას, 11 აპრილს, განთიადისას ცეცხლი წაეკიდა ჩითახოვის ქარვასლას, სიონის ქუჩაზედ. ზარალი 70,000 მანეთამდეაო. ქარვასლა დაზღვეული ყოფილა 55,000 მანეთად, ხოლო ის მაღაზიები, სადაც პირველად ცეცხლი გაჩნდა—30,000 მანეთად.

⁂ ხვალ, 14 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია საგანგებო კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

⁂ გორი: ჩვენს საპატიმროს ვერა და ვერ მოუძებნეს რიგიანი შენობა და ადგილი. ეხლანდელი შენობა დაქირავებული აქვს მთავრობას ერთ გორის მოქალაქისაგან და ისე უალაგო ალაგას არის აშენებული, რომ ყოველ გაზაფხულს ადიდებული ლიახვ-ფშანი ჩანთქმას ემუქრება; ეტლებითაც-კი მისვლა სჭირს ხოლმე. მთავრობა წინადაც მოწადინებული იყო სხვაგან გადაეტანა საპატიმრო, მაგრამ შესაფერი შენობა არსად იყო. ეხლა აქაურ მამულის პატრონს, ბ-ნ გ. მ. ამიროვს უთხოვნია მთავრობისათვის, ჩემს მამულში (წმინდა-წყალზე) გადმოიტანეთ საპატიმრო და მე შესაფერს შენობას ავაგებო, ერთს დღიურს დავუთმობ ეზოდ და ერთსაც საბაღედაო. ერთობ კარგია, რომ საპატიმროს ფართო ადგილი ჰქონდეს, შეიძლება, ბ-ნ ამიროვმა სხვა ადგილიც დაუთმოს ბოსტნეულის მოსაყვანად და ტუსაღები სასარგებლო საქმეში გაერთნენ ხოლმე, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბ-ნ ამიროვის მამული ჭაობიანია და ადვილად შესაძლებელია პატიმართ სიკეთის მაგიერ ციებ-ცხელება და სხვა გვარი რამ ავადმყოფობა დაატყდეთ. სასურველია, რომ ეს ადგილი ჯერ გამოკვლეულ იქმნას მცოდნეთა მიერ და მხოლოდ მაშინ ჩამოართვას მთავრობამ ბ-ნ ამიროვს პირობის ქაღალდი.

⁂ ცხინვალი: სიცივემ, ქარმა და თოვლმა სულ ჩაგვაშხამა გახსნილებაც და გაზაფხულიც. 5 აპრილს დაიწყო საძაგელი ზენა-ქარი და თოვლა, ასე რომ 6 აპ. დილით დაზდო თოვლი სამ გოჯამდინ; ჯერ-ჯერობით ქარი და თოვლი არ შემდგარა. საზარალო იქნება ეს სიცივეები ვაზისაცა და ჯეჯილისათვისაც.

სოფ. ზემო-ნიქოზში ამ ცოტა ხნის წინად ყრილობა ჰქონდა გლეხ-კაცობას და გადასწყვიტა, რომ სოფელმა გარდაიხადოს, თუ ვინმე დაჰკარგა რამე სოფელშიო. ამას გარდა გადასწყვიტა, რომ დავიფიცოთ და ფიც

## ფელეტონი

### უძლური ვირი

(ძველის-ძველი ამბავი)

#### I

ვირი დაბერდა. პატრონისათვის ხელ-საყრელი აღარ იყო. თვალები ჩაუძვრა, ყურები გაუტიტვლდა. ზურგი მთლად გადაღვლეპილი ჰქონდა; ცალიერს, ხმელს ძვლებზე ხმელი, დაბეგვილი და კოჟიჟებული ტყავი ეკრა. რამდენი სახრე, რამდენი კეტი მოჰხვედრია საბრალოს ზედ დაკიჟინებით: «აცე, შე მუდრეგო, გადაადგი ეგ ოხერი ფეხებიო».

ბევრი, დიდი ჯაფა უნახავს იმის ზურგს. თეძოებიც დახუთული ჰქონდა, წელ-მოწყვეტილსა ჰგავდა.

ვირი ეზოში იდგა თავ-დაკიდებული და ჰფიქრობდა თავის ყოფაზე. ჰგრძნობდა დაუძლურებას, ჰგრძნობდა, პატრონი ისე აღარ მომივლის, როგორც წინადაო, რადგანაც უსარგებლო-ღა ვარ, ფეხებს მე ვეღარა ვხმარობ და წელსაო.

ვირის პატრონიც ამბობდა; «რა უნდა უყოს კაცმა ამ ვირ-ტიალს, შენახვად აღარ ღირს, ყიდვით აღარავინ იყიდის. მართალია, დიდი ამაგი აქვს ჩემს თავზე, მაგრამ უნდა წავიყვანო და გაუშვა მინდორში, ნადირი მაინც შესჭამს, მადლია. საჭმელი—თივა და ბზე იმდენი არ არის, რომ დავაბა და ვაჭამო. თოფით მოვკლა, ტყვია-წამალი სად არის იმდენი, რომ ამაზე ვხარჯო. ისევ გაშვება სჯობია». ვირის პატრონი მართლაც ასე მოიქცა: ჩაუბა ვირს ყელზე წნელი და წაიყვანა მინდორში. ვირი და მისი პატრონი ტაატით მიდიოდნენ, რადგანაც ვირს სიარული უჭირდა.

— სად მიგყევარ, ჩემო პატრონო, შემკმაზავდი მაინც, ტიტველა ზურგზე რას ავიკიდებო? უთხრა ვირმა თავის პატრონს, როცა სოფლის განაპირას გავიდნენ და დიდს, ტრიალს მინდორს მოეკიდნენ.

— საძოვარზე მიმყევხარ, ჩემო მერანო, საძოვარზე, უპასუხა პატრონმა.

— ვაჰმე, ვაჰმე, სთქვა ვირმა: ამისთანა დროს, ამოდენა თოვლში რას მოვძოვ, შე სულ-კურთხეულის შვილო?!. არა, შენ სხვა რაღაც გიდევს გულში. მოგწყინდი განა? დავუძლურდი, ველარაფერს გიკეთებ და იმიტომ მომიძულე განა? ოცი წელი ხომ მაინც შენი ყმა და მუშა ვიყავი, შე კაი კაცო,—ერთი ორი კვირა რა გაგიხდებოდა, რომ შეგენახე? მე ხომ, ეს არის, სული კბილით მიჭირავს და, საცაა, გადავბრუნდები და მოვკვდები.

— მართალია, უპასუხა პატრონმა: შენთან პირშავი ვარ. მაგრამ რა ვქნა, ჩემო ვირო, რა წყალს ჩავუდგე? ეხლა უნდა სხვა ვირი ვიყიდო, აბა სად შემეძლო თქვენი, ორივესი კვება; შენ მინდორში გაგიშვებ, ჯაფა არაფერი გექნება, თავისუფლად იქნები. ისე თავის დღეში არ გაკრიჟანგდება ბუნება და დედამიწა, რომ ათასში ერთგან კიდევ არა სჩანდეს მინდორში ხმელი ჯოყარი და შამბი. მიიარ-მოიარე და დაარჩინე შენი თავი. ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა? მაგონდება განა არა, შენი დიდი ამაგი ჩემზედ და ჩემს ცოლ-შვილზედ, ბევრი ვიფიქრე და ამის მეტი ვეღარაფერი მოვიფიქრე, მოსაკვლელად ვერ გაგიმეტე.

— ეჰ, არ მემართლებოდი-კი ამას, ჩემო პატრონო, მაგრამ რა ვუყო, რა მეთქმის, პირში წყალი მიდგა, მადლობა უფალს! დიდება იმის სახელს, ვინც ჩვენ ვირები ასე დაგვაარსა და ესეთი ბედ-ბოლო დაგვიწერა. სჯობდა-კი, რომ თოფი წამოგეღო და მოგეკალი. მაინც ხომ მე არაფერი მიხსნის მგლების პირიდამ, უნდა მწეწონ, მტანჯონ. ტყვია-კი სწრაფად მომიღებდა ბოლოს და მერე მკვდარი ლეში საცა უნდა ყოფილიყო, თუნდა ყვავს ეზიდა, თუნდა ყორანს.

საღამო ხანი იყო, რომ პატრონმა ვირი დანიშნულ მიჯნამდე მიიყვანა ტრიალ შუა მინდორზე, სოფელზედ კარგა მოშორებით, შეჰხსნა წნელი ყელიდამ და გაანება თავი.

— ეხლა მშვიდობით, ჩემო უწყინარო, უჩივარო, მომთმენო ვირო, ღმერთსა ვთხოვ კარგად იცხოვრო, არაფერი დაგიშავდეს, არ შეგცივდეს, არ მოგშივდეს, არ მოგწყურდეს. სთქვა ეს პატრონმა და გამობრუნდა შინ წამოსასვლელად.

— მაშ მანებებ, მანებებ თავს, ჩემო პატრონო, აღარ იშლი? შენც მშვიდობით! ღმერთსა ვსთხოვ, ჩემზე ორ-წილად ღონიერი ვირი გეშოვოს, ორ-წილად ჩემზედ მეტს იკიდებდეს ბარგს და ოთხ-წილად ნაკლებ საჭმელსა სჭამდეს; იქნება იმას მაინც ესეთი საქმე არ დაემართოს, როგორც მე. სთქვა ეს ვირმა სასომიხდილის ხმით, პირი სხვა მხარეს მიიბრუნა, აღარ უნდოდა დაენახა თავისი პატრონი, თვალებიდამ ღაპაღუპით ცრემლები გადმოსცვივდა, მუხლთ მოეკვეთა და იქვე ადგილობრივ ჩაწვა თოვლში.

ვირის პატრონიც გაჰქრა. ცივი ქარი ჰკრეფდა გადალესილ თოვლზედ ნამქერსა და ჰაერში ათამაშებდა!..

დარჩა ვირი მარტოდ მარტო ღვთის ანაბრობაზე. ეხლა მისი პატრონი იყო მაღლიდამ მოწმენდილი ცა, დაბლა—თოვლით გადალესილი მინდორი. ადგილ-ადგილ მინდორზე გორად იდგა ქარისაგან მინაქრული თოვლი. პატრონმა რომ უთხრა ვირს, მინდორში შენს საკმაოს კიდევ იშოვი ჯოყრებს და შამბსაო, ტყუილი გამოდგა: მწოლიარე ვირი თვალს ავლებდა გარეშემო. მაგრამ იქ მცენარის ხსენებაც არსად იყო. თითო-ოროლა ეკლის ჯაგი მოსჩანდა მინდორზე წერტილივით. დაბნელდა, ქარმა მრისხანედ ღრიალი მორთო და გაპენტილს თოვლს ეზიდებოდა ერთ ადგილიდამ სხვაგან. ვირი სიკვდილს ელო-

ქვეშა ვსთქვათ, ვინც ჩვენში ქურდია და ავხელი, მთავრობას მივცეთ, იმათის გულისათვის ჩვენ რად გავტყავდეთო. ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება ამ გადაწყვეტილებას.

სოფელ ქვემო-ნიქოზში კიდევ გლეხ-კაცობამ გადაიხადა ფოსტის ფულის ნედოიმკა სამას თუმნამდე. ამ ფულის გადახდაში მონაწილეობა არ მიიღო მხოლოდ 7 კომლმა, რომელთაც საკუთარი მამულები აქვთ. ეს სოფელმა უსამართლობაც დასახა და გადასწყვიტა შეუკრათ სოფელი ამ 7 კომლ კაცსაო. დღეიდან მეზობლობაში იმათ ხელს ნურაფრით გაუმართავთო. დიდი უსიამოვნება არის ამის გამო ჩამოვარდნილი გლეხთა შორის და შეიძლება რაიმე უბედურობაც დატრიალდეს. ამბობენ, რომ სოფლის არევ-დარევის მიზეზი ის არის, რომ მის საქმეებში ჩაერივნენ გარეშე კაცნი და იმათ დაანთეს ეს ცეცხლი, რომ ხელი მოითბონ როგორმეო. დიდ სამადლობელ საქმეს იზამდა მთავრობა, რომ გლეხები როგორმე მოერიგებინა და დაეშვიდებინა.

*** ს. რუისი (გორის მაზრა): ადიდდა მტკვარი და მოგვიგლიჯა ერთი ბორანი სკრის გასწვრივ; დაგვრჩა ერთი ბორანი ქარელის გასწვრივ, მაგრამ იმასაც დღეს არა, ხვალ მოჰგლეჯამს. მაშინ მოვემწყვდევით სამ წყალ შუა: მტკვარსა, ლიახვისა და ფრონეს შუა!.. უნდა მოვწყდეთ ქვეყანას თვე თხევარს მაინც!.. ჩვენში სიცივეებმა ვაზი გაახმო; „ბუდეშური“ «საფერავი» და „მწვანე“ უფრო გახმა; „ჩინური“-კი, ცოტა არ იყოს, გადარჩა, რასაკვირველია, იმ ვენახებში, საცა დამარხული იყო ვაზი. დამარხვა-კი ყველამ არ იცის. ძველად სულ არ სცოდნიათ დამარხვა ვაზისა ზამთრობით.

*** სოფ. ბაკურციხე (სიღ. მაზრა): ამას წინად გწერდით, რომ აქაურმა მემამულეებმა განიზრახეს ტყეების მოხმარების საქმე განაწესიერონ-მეთქი. დიდად საჭიროა სწორედ ტყეების დაზოგვა და შეკვრა და ამას გარდა ისეთის წესის ჩამოგდება, რომ ყოველს მონაწილეს ჰხვდეს კანონიერი წილი ტყის შემოსავლისა. ეს ერთი თთვეა აგერ თითქმის მას აქედ, რაც ტყის პატრონებმა პირობა დასდეს ერთმანეთში და 35-მდე მონაწილეებმა კიდეც მოაწერეს ხელი პირობის ქაღალდს. ამოარჩიეს აგრეთვე ტყეების მცველებიცა სოფ. კოლაკსა, ბაკურციხესა და კარდენახში. ამ ამორჩეულთ აქვთ მხოლოდ უფლება აძლიონ ხალხს ბარათები და ატარონ ტყეში. სამწუხაროდ, ყველა არ ემორჩილება ამ წესს. ამას წინად, მაგალითად, დიდი უსიამოვნება მოხდა ერთს ტყის მცველსა და მემამულეს შორის ტყის გამო. კარგია კიდევ, რომ უბედურობა არა დატრიალებულა-რა.

*** სოფ. წილკანი (დუშეთის მაზრა): დიდს გაჭირვებაში არის ჩავარდნილი ჩვენი სოფელი; გაუთავებელმა ზამთარმა ლამის სულები ამოგვხუთოს. მარტში ოთხიოდ დღეს მშვენიერი დარები დაიჭირა, სიხარულით მოვკიდეთ ხელი ვენახების შემუშავებას. მაგრამ ჩვენი სიხარული უდღეო გამოდგა: მარტმა თავისი არ დაიშალა, მოგვისია ყინვა, ქარიშხალი და რაც გამოსული ვაზის კვირტი ან ხის კუკური მოიხელა—გაახმო. გლეხეები ამბობენ: თუ მართლა ის ოხერი ხოლერა კიდევ გაჩნდა, ერთი ქვეყნის წამლები მოგვინდებაო, რადგანაც აქ პირუტყვები ბლომად იხოცებიან სიცივე-სიმშილისაგან და ამის გამო უიმისოდაც უსუფთაო სოფელი უფრო გაუსუფთავდებაო. დღეს ბოქაული მობრძანდა, დიდი ყურადღება მიაქცია სოფლის უსუფთაობას. ჩვენც შევუდექით სოფლის დაწმენდა-დასუფთავებას, მაგრამ ქურდ-ბაცაცებს-კი ვერა მოვუხერხეთ-რა. ბოქაულიც ბევრჯელ მოვიდა, პროტოკოლებიც ბევრი შეადგინა, მაგრამ, არ იქნა და არა, ქურდობა არ მოისპო.

*** შინდისი (გორის მაზრა): ჩვენს სოფელში ერთი საზარელი კაცის კვლა მოხდა. კვირას, კვირაცხოვლობა დღეს, დღესასწაულში, სადილს შემდეგ ჩხუბი მოუვიდათ სანდრო ფაციაშვილსა და კეხველ გლეხს მელანაშვილს. ჩხუბში ელანაშვილმა ხანჯალი ჩასცა მუცელში ფაცინაშვილს და იქვე სული გააფრთხობინა. ამ ამბავის გამო მოვიდა ცხინვალის ბოქაული ბ-ნი გუგუშვილი, ოქმი შეადგინა და მელანაშვილი დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. ყვარელი (გორის მაზრა): ამ თვის 4-ს კვირაცხოვლობა დღეს, ალავერდის ეპისკოპოზმა ბესარიონმა, თანადასწრებით მრავალ სამღვდელოებისა, აკურთხა ყვარელში ახლად აშენებული თ. ნ. ჭავჭავაძის მეოხებით ნათლის მცემლის ეკკლესია. ეკკლესიის კურთხევას დიდ ძალი ხალხი დაესწრო. თელავის მაზრის ყველა სოფლებიდგან მოწვეულნი იყვნენ თ. ნ. ჭავჭავაძესთან თავად აზნაურობა და გლეხობა. თუმცა ამინდი ცუდი იყო, მაგრამ მაინც წირვას ხალხი ბლომად დასწრო. წირვაზედ ორი ხორო გალობდა: ცალკე დიაკვნები და ცალკე შაგირდებ-მასწავლებლებიდგან შედგენილი. წირვაზედ მისმა მეუფებამ წარმოსთქვა საგულის-ხმიერო ქადაგება. წირვას შემდეგ მიწვეული ხალხი შეიკრიბა თ. ნ. ჭავჭავაძის სახლის ეზოში, სადაც მასპინძელმა სტუმართ მშვენიერი სადილი გაუმართა.

სოფ. ახაშენი (სიღ. მაზრა): 10-ს აპრილი. აქაური ხალხი დიდს ვალში ჩავარდნილი. რომელ სოფლის ხალხს არა აქვს ვალი, მაგრამ ასე-კი ღმერთმა ყველა დაიფაროს. ესე ვალში დამხრჩვალი ხალხი სხვაგან არსად მეგულება მთელს მაზრაში: კარი-კარ მაწანწალა ფარჩა-ფართალით ვაჭრები ისე შეჰჩვევიან აქაურებს, რომ ვენახების მოსავალს ყოველ წლივ ხელიდგან აცლიან. ამ წლის მოსავალი იმ ვაჭრებს ეკუთვნით; მამულის პატრონებმა წელი უნდა მოიწყვიტონ, შეიმუშაონ და მზა-მზარეული-კი სხვებმა წაიღონ.

ამათ გარდა, ერთი უფრო საშიში მოვალე ჰყავთ ახაშნელებს, რომელსაც ბობილას უწოდებენ. ისეთი კაცი არ გამოვა თითქმის ახაშენში, რომ ამ ბობოლასი არ ემართოს ვალი, თუ არ მართალი, ტყუილი მაინც. შარით და გაიძვერაობით გააბამს ხოლმე ეშმაკურ ბადეებში უვიც კაცს და ამ რიგად ნახევარზედ მეტი ახაშენის ვენახებისა გირავნობით დაჭერილი და დასაკუთრებული აქვს, ზოგი ფულის სარგებლებში და ზოგიც „ნეუსტოიკებში“.

*** საოცარ ამბავს ატყობინებენ გაზ. „თარაზს“ ქ. ახალქალაქიდამ, ვითომც იქაურ გამომძიებელს ეხლა არც ერთი გამოსაძიებელი საქმე არა აქვს და იქაურ საპატიმროში მხოლოდ სამი ტუსაღია—ორი თათარი და ერთი სომეხიო.

*** გაზ. Нов. Обозр. შეუტყვია რომ წარსულ თებერვალს ტფილისში ჩამოურეკნიათ კავკავის გზით 245 სული საქონელი და მარტში—1095. გაუგებარია, ამბობს გაზეთი, თებერვალში საქონლის ხორცი უფრო იაფი რად უნდა ყოფილიყო ვიდრე ეხლა, როდესაც ოთხ ნახევარჯელ მეტი საქონელი ჩამოურეკიათო.

*** ფოსტის მოხელემ კოლეჟსკი ასესორმა ჯომარმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 10 აპრილს ღამით ორბელიანის ქუჩაზე, ჩემის სადგურის წინ. ვიღასაც ორის თუ სამის დღის დაბადებული ბავშვი გადუგდიაო. ბავშვი თვითონვე აიყვანა აღსაზრდელად.

შეცდომის გასწორება: გუშინწინ გრ. ვოლსკის წერილში შეცდომით იყო დაბეჭდილი სიტყვა savont — ученный, უნდა იყოს: savant—ученый.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თიანეთი**, 25 მარტი. ამ თთვის 18-ს თიანეთის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია ორი საქმე, რომლის მსგავსიც იშვიათია, არამც თუ თიანეთის მაზრაში, ვგონებ, სხვაგანიც-კი. საქმე იმაშია, რომ სოფელ ბოჭორმის მღვდელსა და ამ სოფლის მცხოვრებლებს, ამ რამდენიმესამე წლის წინად ქართლიდგან გადმოსახლებულ ოსებს, ექიმის ბახუტაშვილის მამულზე დაბინავებულთ, რიცხვით 20 კომლს, რაღაცაზე უსიამოვნება მოსვლიათ ერთმანეთში; ამისი შედეგი ის იყო, რომ ხსენებულმა ოსებმა გადასწყვიტეს, სთხოვონ მთავრობას ბოჭორმის მღვდლის სხვა მრევლში სადმე გადაყვანა; ხოლო ვიდრე მთავრობა იმათ თხოვნას შეიწყნარებდეს და აღუსრულებდეს, აღარავითარის წესის შესასრულებლად ბოჭორმის მღვდელს აღარ მიჰმართონ; შეუდგნენ კიდეც ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანასა, გარდაეცვალათ რამდენიმე ადამიანი, მღვდელს აღარ მიჰმართეს და მიცვალებულები წესის აუსრულებლად დაასაფლავეს.

ეს მღვდელმა აცნობა მაზრის სამმართველოს და საქმე აქედგან გადაეცა მომრიგებელ მოსამართლეს სასამართლოში. მიცვალებულების ბრალდებულმა ნათესავებმა და მეზობლებმა აღიარეს, რომ მართალიაო, დავასაფლავეთ მიცვალებულები წესაუსრულებლად, მაგრამ ამაში ჩვენ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის, რადგანაც ეს მოხდა სოფლის საერთო გადაწყვეტილებით და არა ჩვენის საკუთარის სურვილით; ამისთანა საქმის ჩადენა გვაიძულა გარემოებამ და გაჭირვებამ. ჩვენ ქრისტიანები ვართო, ამბობდნენ ბრალდებულები, და როგორც ქრისტიან ხალხს, ღრმადა გვწამს და გვიყვარს ჩვენის სარწმუნოების წესებიო, მაგრამ, რა ვქნათ, როცა გაჭირებული სოფელი იძულებულ იყო ამ გადაწყვეტილებას დასდგომოდაო.

მოსამართლემ ბრალდებულები დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა რამდენსამე კაცს სამ-სამი კვირით დაპატიმრება. ვინ უფროა დამნაშავე მღვდელსა და მრევლს შორის, ამაზე არას ვიტყვი. რასაკვირველია, არა ითქმის რა თვით მოსამართლეს განაჩენზედაც. სასამართლომ თავისი მოვალეობა, ასე თუ ისე, შე-

---

და: სხვა მოსალოდნელი მას წუთისოფელში არაფერი დარჩენოდა. მიმიბარეო, ევედრებოდა თავის გამჩენს. შორს სადღაც აყმუვლდა მგელი, ხმა გააგძელა საზარელის კილოთი. ცოტა ხანს შემდეგ სხვა მხრიდამ მოისმა ყმუილი, ახლა სხვიდამ, ასე რომ ოთხსავ მხარეს გაიმართა საზარელი ხმაურობა.

— მოდით ჩქარაო, ამბობდა ვირი თავისთვის, მაინც თქვენი კერძი ვარ და მაინცაო. ვირს თვალ-წინ წარმოუდგა თავისი წარსული, თავის ცხოვრება და მწარედ ამოიკვნესა: რისთვის ვიცხოვრე, რისთვის ვიტანჯე? ვიტანჯე, წელი მოვიწყვიტე და ეხლაც ტანჯვით უნდა მოვკვდეო, ამბობდა დალონებული. მადლობა შენთვის, უფალოვო, სთქვა და დაასვენა თავი თოვლზე. ნეტავი არ მალოდინონ და ჩქარა მოვიდნენ მგლები, ჩქარა შემჭამონო. „ლეგ ჩოხა ბიჭებმა“ არ იცოდნენ ვირის უპატრონოდ ყოფნა მინდორზე, თორემ დაპატიჟება არ უნდოდათ. სიმშილისაგან შეწუხებულნი დალაწლაწებდნენ მინდორზე და ქვაც რომ დაენახათ, ისიც ხორციელი არსება ეგონათ და ზედ ჰვარდებოდნენ შესაჭმელად, ვირს რას დაიხვალიებდნენ....

ვირს რაღაც ხმაურობა შემოესმა —თოვლის ხრიალ-კრიალი და მაგრა ფეხის ცემა. ვირმა იფიქრა, ეგ არის დამეცა მტერიო: მოდი ნუ დავინახავ მაინც ჩემის ხორცის მჭამლებსო, სთქვა და თვალები დახუჭა, თავი უფრო დაბლა დაჰკიდა, თითქმის თოვლში ჩაათარა.

— გამარჯვება შენი, ძმობილო, ვინა ხარ? რა სულიერი ხარ? მოესმა ვირს ხმა.

ვირს ჯერ არ უნდოდა აეხედნა, მაგრამ იცნო, ეს ხმა მგლისას არა ჰგავდა, აიხედა მაღლა და დაინახა თავზე წამომდგარი, ყელ-მოღერებული, თვალებ მოელვარე რქაბუდიანი ირემი. ისეთი ბოჯოჯლი რქები ჰქონდა ირემს, გეგონებოდათ ბებერი მუხა სდგას იმის თავზეო. იმას ორი სხვა ამხანაგი ეტანა—ერთი ისევ ხარი და მეორე ფური-ირემი.

— ვირი გახლავართ, თქვენი ჭირიმე, უპასუხა ვირმა, რა დაინახა, რომ სანდო ხალხნი იყვნენ.

— აქ რას აკეთებ ამ დროს, შე საცოდავო? განაგრძო ხარმა-ირემმა: ამ სიცივეში, ზამთარში გარედ შინაურს ცხოველს რა უხარიან?? ჯერ ჩვენ ტყეში დაბადებულთ და გაზრდილთ გვეძნელება ამ დროს ცხოვრება!?

— პატრონმა მომიძულა, ძმობილო, მანამ ჯანი და ღონე მქონდა მამუშავებდა და ეხლა, რაკი ღონე დავკარგე და დავუძლურდი, დავბერდი, გადმომაგდო ამ ტრიალს მინდორზე,—უპასუხა ვირმა ამოოხვრით.

— არ მიკვირს, ძმაო! ჩვენ იმითი ვართ ბედნიერნი, რომ კაცის ხელში არა ვართ, იმას არ შევხედავთ თვალწარბში, ჩვენი თავი ჩვენვე გვაბარია სიყრმითვე და არ გვიჭირს ცხოვრება. შენ რომ დაუჩვეველი ხარ, ასეთს ცხოვრებას ვერ აიტან... ეგეთია ადამიანი. ვიცნობთ ჩვენც ადამიანიშვილებს, თუმცა ტყეში ვსცხოვრობთ და ნადირებს გვეძახიან. კაცზე შეუბრალებლები, აგერ, ისინიც არ არიან. დამერწმუნე, რომ სადავლოდ ეძახიან ერთმანერთს. ირემი მგლების ყმუილზე ეუბნებოდა.—შეუბრალებლობა მეტი იქნება, რა დავუშავეთ ჩვენ ადამიანს, რა შეუსვით, რა შეუჭამეთ, რომ ჩვენ არ გვაძლევს მოსვენებას და გვდევს მოსაკლავად!? აი ეხლაც მონადირეებისაგან დამფთხრები მოვდივართ თავის ბინაშივე. ადე, წამო, წავიდეთ, ძმობილო, ჩვენთან იცხოვრე, ჩვენც შაგეწევით, უთხრა ხარმა-ირემმა.

— სად შამიძლიან, გეაიყვანეთ, თქვენთან სიარული, ფეხებს ძლივს დავათრევ...

— იქნება, არ გვენდობი? შენ არ იცი, რომ ჩვენ ნათესაობა გვაქვს ერთმანეთში, თუმცა-კი შორეული, მაგრამ მაინც ნათესაობა ჰქვიან. თუნდა ეს არ იყოს, თქვენსა და ჩვენს ნათესაობას ქვეყნის დასაწყისიდამ ერთმანეთში არავითარი, ბეწვის ტოლა მტრობაც არ მოაგონდება. ჩვენ ჩვენთვის ყველაფერს ვეცდებით. შენ რომ კაცი იყო, სიცივისაგან დაკრუნჩხული, სულთ-მაბრძოლი და ჩვენს ხელთ ყოფილიყო გადარჩენა, ზედაც არ შემოგხედავდით, ახლოც არ გაგივლიდით, მაგრამ შენ ჩვენი თანამოძმე ხარ, ადე, წამო, ჩვენთან, წამო ძმობილო, ჩვენთან იცხოვრე. აქ შენ ხეირს ვერა ჰნახავ.

— განა არ გენდობით, თქვენ თავს შემოგევლოსთ ჩემი საცოდავი თავი, მაგრამ რა ვქნა, განა გეხუმრებით, ფეხებს ძლივს დავათრევ, თეძოები დახუთული მაქვს, წელი თითქოს მოწყვეტილი მაქვსო, ტანიდამ მოშორებულიო, ისა მგონია. სთქვა ვირმა: ცარიელი ძვლები-ღა ვარ.

— ნუ გეშინიან, რა-კი ეგრეა, რას მიკეთებს რქები, მე წაგიყვან, ძმობილო, ადე ზეზე, ადექი ჩქარა თორემ, აგერ საცაა, მგლები მოგვეწევიან, გავეშუროთ.

ვირი რის ვაინაჩრობით ადგა ფეხზედ. ირემმა წაიწოდა თავის ღონიერი კისერი და შეიგდო ვირი რქებზედ.

— წავიდეთ ჩქარა,—შეუძახა მან თავის ამხანაგებს—მე მომყევითო და შეიკამარავა მძლავრმა ცხოველმა; როგორც ქარმა ბუმბული მოიტაცოს, ისე მოიტაცა მან ვირი.

— ჩემი რქების სიმძიმეც არა გქონიაო, უთხრა ირემმა ვირს, ცოტა მანძილი რო გაიარეს.

— რა-ღა სიმძიმე მექნება, შენ გენაცვალოს ჩემი ბეჩავი თავი, ცარიელი გამოხრული ძვალი და ტყავი ვარო,—უპასუხა ვირმა, ირმის რქებზე არხეინად მწოლარემ.

ირმები მიეშურებოდენ მაღალ მთისკენ, დიდ შავ ტყისკენ, ვირიც იქ მიჰყავდათ. იმათ ნაფრენს მინდორზე თვალს ვერ გადუწვდენდა კაცი...

ვაჟა-ფშაველა.

(შემდეგი იქნება)

ასრულა, დამნაშავეთა მოქმედებას ჯეროვანი მსჯავრი დასდო და საქმეც ამითი გაათავა, მეტი არც არაფერი მოეთხოვებოდა.

სათქმელი და საფიქრებელი აქ ისაა, აღადგენს თუ არა ბრალდებულების დასჯა იმ ზნეობრივს ურთიერთობას ოსებსა და მღვდელს შორის, რომელიც უნდა სუფევდეს ყოველს კეთილ მოძღვარსა და მრევლს შორის? ჩემის ფიქრით, ამ შემთხვევაში ბრალდებულების დასჯა საკმარისი არ არის; საჭიროა ამ საქმეში ჩაერიოს ისეთი კაცი, რომელსაც მღვდლისა და მრევლის მორიგება შეეძლოს და მათ შორის სასურველი ურთი-ერთობა ჩამოაგდოს. ნათქვამია, სისხლი სისხლით არ დაიბანებაო. სასჯელი უფრო ბევრს უკმაყოფილებას დაჰბადავს მათ შორის, უფრო საქმეს გაამწვავებს და მორიგებასაც ხელს შეუშლის.

არ იქნა თიანელებს აღარ გვეღირსა გაზაფხული. აქამდე სოფლის ხალხს ნახევარი ხვნა მაინც უნდა ჰქონდეს გათავებული, მაგრამ თოვლისა და ცუდის ამინდების გამო ჯერ კვალიც არავის გადუბრუნებია. აქაურობა სულ თოვლით არი შეფარული, გეგონება, მარტის გასული-კი არა, იანვარიაო.

ძლივს, დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ, გვეღირსა თიანელებს ფოსტის გამართვა ქალაქამდე, მაგრამ ვაი ამისთანა გამართვას: ფოსტას 28 თებერვლიდან უნდა დაეწყო სიარული. მაგრამ ჯერაც არსად არი! ისეთს მთებზედა და უხერხულ ადგილზეა გაყვანილი გზატკეცილი, რომელზედაც ფოსტამ უნდა იაროს, რომ აქ ზამთრობით მოგზაურობა ყოვლად შეუძლებელია; სამი მთაა გადასავალი და სამივეზე ზამთრობით იმოდენა თოვლი და ნაქარი არის ხოლმე, რომ გზის გაუშრობად და გაუწმენდად სიარული შეუძლებელია. საკვირველია ამ გზის გაყვანა რათ არჩიეს ასე, ხოლო ივრის ხეობა და საგურამოს მხარე, რომლებიც გზისთვის გაცილებით სამჯობისია, უყურადღებოდ დასტოვეს. გზა რომ ივრის ხეობაზე გაეყვანათ და თელავის გზასთან შეაერთებინათ, არც იმდენი ხარჯი და შრომა დასჭირდებოდა ხალხსა, არც მთებზე გადავლა და არც თოვლისგან გზის შეკვრა დააბრკოლებდა მგზავრსა.

ხ.

**სოფ. ტოლა** (რაჭის მაზრა). 29 მარტს, აღდგომის მეორე დღეს, საღამოზედ, ერთი ფრიად შემაძრწუნებელი კაცის-კვლა მოხდა: გლეხმა ალექსი კაციას ძე ცხურავაშვილმა მოჰკლა ხანჯლით თავის ღვიძლი ძმა ონისიმე. აი საქმე როგორ იყო: აღდგომის მეორე დღეს, რომელსაც ჩვენი ხალხი გოლგოთობას უწოდებს, შემდეგ წირვისა სანთლითა და განატეხრებით (დიდი მრგვალი პური, რომელშიაც ყველი ან გადამდნარი ქონი უნდა იყოს ჩატანებული), ხალხი შეიკრიბება იმ ადგილს, რომელსაც „საგოლგოთოს“ უწოდებენ. აქ მოილოცვენ და სუფრას შემოუსხდებიან სტუმრებითურთ. ჩვენებურს გლეხს, თუკი რამ კარგი სანოვაგე, ან ღვინო მოეპოვება, უთუოდ იქ სადილზედ უნდა მიიტანოს. დაიწყება სმა-ქეიფი. წელსაც ჩვეულებრივი წესი შესრულებულ იქმნა. საღამოს ჟამს საკმაოდ ღვინით ტვინ შეხურებული ხალხი გაემგზავრა თავ-თავიანთ ბინისაკენ. ამათში, რასაკვირველია, კაცია ხურავაშვილიც იყო. საღამოს კაციას ოჯახს ესტუმრნენ ნათესავნი და ნაცნობნი.

მალე გაიშალა სუფრა და სტუმარი და მასპინძელი ერთად შეუდგნენ სმასა და ქეიფს. ამ დროს დავითვლიანი, ნათესავი მასპინძლისა მოითხოვს შეღებილს კვერცხებს, ალექსი მიუტანს და დავითვლიანი დაუკრავს კვერცხს თვით მიმტანს. დავითვლიანის კვერცხი საკმაოდ მოხარშული არ გამოდგა და ხელზე გადაესხმება თოხლო კვერცხი, რომელსაც დავითვლიანს კვერცხის მომტანს გულზე მიახლის. სამაგიეროდ გულზედ მოსული ალექსიც სტაქნით ღვინოს შეაშხაპუნებს დავითვლიანს. ეს საქციელი იწყინა ალექსის უფროსმა ძმამ თომა ცხურავაშვილმა, როგორ თუ სტუმარს აწყენინეო და სახლიდამ კარში გააგდო. გაბრაზებულმა ალექსიმ სხვას წაართო ხანჯალი და თავის ძმას თომას დასცა ორ ადგილას. დამნაშავე მეორე დღესვე დაიჭირა ადგილობრივმა მამასახლისმა და ბოქაულს წარუდგინა.

ქაიხოსრო გელოვანი.

---

## რა ამბავია?

(კუმდგნი „ივერიას“ და „კვალს“)

> ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზედ მერცხვინება...
> მტერს შეესმის, იამების, მოყვარეს-კი ეწყინება,—
> რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც ითქმის გიხედა.
>
> დავით გურამიშვილი

ჩვენი ლიტერატურა ღარიბია,— ღარიბია არა მარტო ნაწერის სიმცირით, შინაარსითაც: მცირეცაა და მწირიც. თითქო ყოველიფერი გადამტერებია ჩვენს სულიერ ზრდასა და წარმატებას. თუ საზოგადოდ ყველა ერისათვის საჭიროა წინდახედული და დაუღალავი შრომა და მხნეობა, მტკიცე ერთობა და ძმობა, ჩვენთვის, ჩვენს გარემოებაში მყოფისათვის, ერთი ათად და ერთი ასად უფრო აუცილებელი და ძვირფასია. რაღა ერთმანეთის მტრობა და ჩხუბი გვჭირია!

უკაცრავად ნუ ვიქმნები და სხვა ვერაფერი დამირქმევია იმ ვითომ ლიტერატურულ კამათობისათვის, რომლის მოწმედ შევქმნილვართ «ივერიისა» და «კვალის» მკითხველნი ამ უკანასკნელის ჟურნალის დაარსების დღიდამ. არ ვკისრულობ მსაჯულობას, მაგრამ არ შემიძლიან, როგორც ჩვენის წარმატების ერთს უღონო მუშაკს, გულ-წრფელად არ წარმოვთქვა ჩემი გაოცება და გულის ტკივილი. ნუ იფიქრებთ, ვითომც ვინმე ლიტერატურულის კამათობის და სხვადა-სხვა აზრთა ცხარე შეტაკების წინააღმდეგი იყოს. არა, ლიტერატურა ცხოვრების სარკეა, და ცხოვრება ხომ ბრძოლაა, მედგარი, ულმობელი ბრძოლა. ხოლო ბრძოლაც არის და ბრძოლაც. ლიტერატურულ ბრძოლას,—მუდამ ზრდილს, თავდაჭერილს, უპირადოს, ნამდვილის ცოდნითა და ნიჭით შემკულს, მოსწრეულსა და წრფელის გრძნობით ნაბთელ-მოსილს,—ითხოვს თვით ცხოვრების სხვა-და-სხვაფერობა, იმის შეუწყვეტელი დუღილი, სხვა-და-სხვა ინტერესების და მიმართულების შებმა-შეჯახება.

მესმის, როცა ბებელი ებრძვის რიხტერს და ორსავე სულგანაბული უსმენს, როგორც სხვა-და-სხვა სოციალურ-პოლიტიკურის მოძღვრების მეთაურებსა და ფალავნებს, მომხრეთა აუარებელი რაზმი. მესმის, როცა მოხუცებული გლადსტონი მედგრად ეჭიდება ახალგაზდა ჩორჩილს, პეტენკოფერი კოხს, ზოლა და დოდე საფრანგეთის აკადემიას, მიხაილოვსკი ბურენინს, ნიკოლაძე შავროვს... ისიც მესმის, თუ ესენი, ცხარე ბრძოლით გატაცებულნი, ხანდახან გადადიან წრეს, რადგან ამათი საბრძოლო საგანი დიდია და, შეიძლება, დიდმა საგანმა, საგნის დიდმა სხვა-და-სხვაობამ გაიტაცოს კაცი. მესმის ეს და, თვით აღელვებულს რომლისამე მხრის თანაგრძნობით, ვერ დამიძრავს ენა სასაყვედუროდ,—თვით ბრძოლის საგანია იმათის შეცდომა-შეცოდების შემანდობარი, თუ გადვიდნენ ათასში ერთხელ მტკიცე და სადარბაზო ზრდილობის საზღვარს.

მაგრამ სრულიად არ მესმის და ვერ გამიგია, რამ გაიტაცა და გააცხარა ასე უზომოდ, რამ გადაამტერა ასე უსაზღვროდ ერთისა და იმავე საგნის მსახური, ერთის ბანაკის, ერთის ფერისა და იერის „კვალი“ და „ივერია“. ნეტა მაცოდინა, რა სხვა-და-სხვა მოძღვრებას და მიმართულებას, ცხოვრების პროგრამმას მისდევს, რა სხვა-და-სხვა აზრის მქადაგებელია ჩვენს ცხოვრებაში ეს ორი პატივცემული გაზეთი და რა ასეთი მოურიგებელი და ხიდ-გაუდებელი სხვა-და-სხვაობა [illegible] მომხრეთა და სწავლა-მოძღვრებას შუა, რომ აღარ ეცოდებათ აღარც მკითხველი, აღარც ქაღალდი და,— რაც ყველაზე უფრო სავალალოა,— აღარც ის დიდებული საქმე, რომლის სამსახურიც უნდა შეადგენდეს იმათს ერთად-ერთს მოვალეობას,— ჩვენის საზოგადოების გონებით და ზნეობით აღდგენა და გამხნევება.

უწინდელს ჩვენს ლიტერატურულ ფანდებსა და კისრულებს ხელზე ჰქონდა დახვეული „ძველისა და ახალის თაობის“ ბრძოლა. ახლა, მადლობა ღმერთს, როგორღაც მიყუჩდა, საცა გინდა და არ გინდა, „ძველისა“ და «ახალის» წამოჩხირვა.

ნუ მიწყენთ, და სწორედ გულ-საკლავი სურათია, როცა აკვირდება კაცი ჩვენს ახლანდელ მწერლობას და სახავს იმას ჩვენის საზოგადოების სარკედ, ჩვენის გონებითის და ზნეობითის წარმატების საწყაოდ: არა საკმაო ცოდნა, არა საკმაო ნიჭი, არა ენა,—სამწერლოდ თითქმის სრული მოუმზადებლობა, აზრის თამამი უსუსურობა, სიტყვის ალვირ-წახსნილი სიმკახე! ჩვენი პოლემიკა ძალიან ჰგავს უწვრთნელის კაცის უსაგნო სიცილს, ანუ მედოლეებისაგან და კინტუა ძმაბიჭებისაგან თავის „მტრისა და დუშმანის“ მასხრად აგდებას. შემეძლო ჩემი ნათქვამი მაგალითებითაც დამესაბუთებინა, მაგრამ რა საჭიროა? ვინც კითხულობს ჩვენს გაზეთებს და უკვირდება წაკითხულს, უჩემოდაც კარგად იცის სამაგისო მაგალითები, და ვინც არ იცის და არც უკვირდება, უკეთესია, რომ სულაც არ იცოდეს და დაუკვირდეს, რადგან ჰკუას,—მეტი არ ისწავლა თქვენმა მტერმა,—ის იქიდამ ვერ ისწავლის...

გრ. ვოლსკი

---

## წვრილი ამბავი

ამას წინად ედისონს ფრანკლინის კლუბში ნაცნობები და მეგობრები მიუწვევია. სხვათა შორის გასართობად ერთს ოთახში იდგა გამოქანდაკებული სანთლის კაცი. ამ ქანდაკებას ფონოგრაფი ჰქონდა ჩადგმული და სტუმრებს „რებებს“ ეუბნებოდა და თან თვალებს აბრიალებდა და ხელებსა შლიდა. შემდეგ სასტუმრო ოთახში შემოვიდა ორი კაცის ჩონჩხი, ჩონჩხებშიაც ტელეფონი იყო გამართული. ჩონჩხები ამბობდნენ: „ოდესმე ჩვენც ის კიყავით, რაც ეხლა თქვენა ბრძანდებით, მაგრამ მოვა დრო, რომ თქვენც იმად გარდიქმნებით, რაც ეხლა ჩვენა ვართო“. ამ გვარმა მასპინძლის ხუმრობამ, ვერაფრად ასიამოვნა სტუმრები, რომლებიც უკმაყოფილონი დაიშალნენ.

— ავსტრალიაში ადიდებულ წყალმა მთელი ქალაქი დაანგრია: ეს ქალაქი ბრისონაა, რომელშიაც 50,000 მცხოვრები იყო. წყალი ქარიშხალსავით მოულოდნელად მაწყდა ქალაქის შენობებს და მრავალი მათგანი თან წაიღო. ხის სახლები ზემოდამ დაცურავდნენ და აქეთ-იქით ეჯახებოდნენ. ერთი ფორტეპიანო ტელეგრაფის მავთულს მოედო, აქვე დაცურავდა მროხა, ცხენი, მსუბუქი სახლის ავეჯეულობა და სხვა. წყალმა რომ იკლო, ის ადგილი, სადაც მშვენიერი ქალაქი იყო გაშენებული, ლამითა და ქვიშით იყო მოდებული. 600 სახლმა ადგილი იცვალა. ტელეგრაფი, ელექტრონის მანქანები, რკინის გზა სულ შთანთქა წყალმა. წინანდელი ქალაქი ერთ დიდ სასაფლაოდ გარდაიქცა. არავინ იცის ჯერ, რამდენი კაცი დაიღუპა. ვინც-კი გადარჩა ამ უბედურებას, მოხარული არ არის. რადგანაც უბინაობა, სიტიტვლე და შიმშილი მათთვის არა ნაკლები უბედურებაა.

— პროფესორ ლინდემანს შემდეგი ღონისძიება აღმოუჩენია კალიის გასაწყვეტად. შემოდგომაზე ის მინდვრები, სადაც კალიებს კვერცხები დაუდვიათ, ცოტა ღრმად უნდა გადაიხნას ან დაიფარცხოს, რომ ზევით მოქცეული კვერცხები ჩიტებმა და მწერებმა ჰკენკონ. გაზაფხულზე გამოიჩიკება თუ არა კალია, პირველ თორმეტ დღის განმავლობაში უნდა გასწყვიტონ, როცა ჯერ ისევ კუტია, ერთ ალაგას არის და ფრენა არ შეუძლიან. ამისათვის უნდა ჩალა დააყარონ იმ ადგილებს, სადაც კალია გამოჩეკილა და ცეცხლი მოუკიდონ, რომ მისმა ალმა გადაბუგოს ახალ გამოჩეკილი უფრთო კალია. პროფესსორ ლინდემანის აზრით, ეს საშუალება კალიის გასაწყვეტად ყველაზედ უფრო გონივრულია და იაფიც. შინაგან საქმეთა მინისტრმა ეს ღონისძიება ყოველ გუბერნიების უფროსებს შეატყობინა და მისწერა, ცნობები გამოგზავნეთ, რი და რა ალაგას იყო შარშან კალიაო.

---

## გასართობი

გაგიგონიათ როდისმე ჰჱნრიხ ბლოკის სახელი? არა? მაშ მე მოგახსენებთ, ვინცა ბრძანდება ეს ჰჱნრიხ ბლოკი. მოგეხსენებთ, რომ, თუ თევზს წყალი უყვარს, ფრინველს—ჰაერი, მაშასადამე კაცს ფული უნდა უყვარდეს. დიაღ, ასეც არის. ისე გვიყვარს ფული, რომ მომგებიან ბილეთებსა ვყიდულობთ და მერე კოცნებით, იქნება ღმერთმა გვიშველოს და მართლა მოვიგოთო. ეს თვისება ადამიანის გულისა კარგად სცოდნია ჰჱნრიხ ბლოკსა და ერთი ფულის მომგები ქარხანა, უკაცრავად, კანტორა უნდა მეთქვა, გაუმართავს. ამ კანტორაში შეგიძლიანთ მომგებიანი ბილეთი იყიდოთ ნისიად, და ფული-კი ნაწილ-ნაწილად შეიტანოთ. ჰჱნრიხ ბლოკი ძლიერ გულ-კეთილი კაცია და ამიტომ არავის ძალას არ ატანს, ცოტ-ცოტათი შემოიტანეთ ფული, რამდენიც შეგეძლოთო, და თუ კინიცობაა შემდეგში ვეღარ შესძლებთ ფულის შემოტანას, ნუ გეშინიანთ, არც თუ ისეთი ხარბი ვარ, რომ შემოტანილის ფულით ვისარგებლოვო. როცა-კი გნებავთ, ფულს უკან დაგიბრუნებთო და მართლაც მსურველს ფულს უკან უბრუნებს.

აი მაგალითიც. შარშან ერთმა ტფილისელმა ამ ჰჱნრიხ ბლოკისაგან ერთი მომგებიანი ბილეთი იყიდა 227 მანეთად და 75 კაპეიკად და პირობით, შეკრა თვეში 5 მანეთს მოგცემო. ცოტ-ცოტათი გადაიხადა 51 მანეთი 25 კაპეიკი. მერე ვეღარ შესძლო და მისწერა ბ-ნს ბლოკს (ბლოკს რეზიდენცია პეტერბურგში აქვს), ბილეთი აღარ მინდა და ჩემი ფული უკან დამიბრუნეთო. ბლოკმა უპასუხა, ბ-ნო ბრძანდებით, აი, ინებეთ თქვენი ფულიო, მხოლოდ იმას-კი დაგიჭერთ, რაც ჩვენ დაგვიხარჯავსო. და შემდეგი ანგარიში გამოუგზავნა: „გზვრგება თქვენგან: კონტორისთვის ბილეთის ყიდვის საკომისიო—5 მან., აგენტს საკომისიო—3 მან. სარგებელი ერთის თვისა, ფოსტის ხარჯი და ბილეთის დაზღვევა 5 მან. 90 კაპ., სარგებელი და საკომისიო ხარჯი სესხისა 12 თვისა 1893 წლის 3 მარტამდე სულ—25 მან. 20 კაპ. და სხვა... სულ გვერგება 49 მან. 25 კაპ. შემოტანილი გაქვთ სულ 51 მან. 25 კაპ. მაშასადამე გერგებათ 2 მან. ამ ფულს, თუ ინებებთ, (ეს „თუ ინებებთ“ ხომ მშვენიერებაა), მოგართმევთო. მხოლოდ ჯერ ჩვენი კვიტანცია წარმოადგინეო.

აბა გამოიცანი, მკითხველო, თუ ჩვენ ყველამ მოვიწადინეთ ჰჱნრიხ ბლოკისაგან მომგებიან ბილეთების ყიდვა, თითომ 51 მან. და 25 კაპ. შევიტანეთ, მერე ეს ფული უკან მოვთხოვეთ და ჰჱნრიხ ბლოკმაც რომ აიღოს და თითოს 2 მანეთი უკან დაგვიბრუნოს, თითონ ბლოკს რამდენი-ღა მოგება დარჩება? იმაზედ მეტი, რასაც მომგებიანი ბილეთი იგებს, თუ ნაკლები?

და კიდევ გამოიცანით. ჰჱნრიხ ბლოკს რომ მომგებიან ბილეთების ნისიად გასასყიდი კონტორა არა ჰქონდეს, რა გვეშველება? 51 მანეთში 2 მანეთს ვიღა დაგვიბრუნებს?

---

## დეპეშა

10 აპრილი

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბძანებია: მოწვეულ იქმნან სავარჯიშოდ ექვსის კვირით ევროპაში მდებარე რუსეთისა და კავკასიის სათადარიგო ჯარების პრაპორშჩიკები, რომელთაც ეს ჩინი 1892 წელს ებოძათ.

გამოცხადდა წესდება რკინის გზის მოგზაურობისა და საქონლის გადატანის ფასების შესახებ. გზათა მინისტრმა ნება დართო, რკინის გზით უფასოდ შეეძლოთ მოგზაურობა რკინის გზის მოხელეთა, მათ ოჯახობას, რკინის გზაზედ მოსამსახურე ხელოსანთა და მუშებს. ყველა ამათ აგ-

რედვე ნება აქვთ, საკუთარ ნივთების უფასოდ გადატან-გადმოტანისა. გადასწყვიტეს აგრედვე, რომ ყველა რკინის გზით ყოველ გვარ სასწავლებლების მოწაფეთ ნახევარ ფასად შეეძლოთ მოგზაურობა.

**რომი.** დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული ხელმწიფენი და უცხოეთის პრინცები დაესწრნენ დოლსა და სალამოთი თეატრში ბრძანდებოდნენ.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ 347 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 304-სა მეორედ წაკითხვის შემდეგ მიიღო ბილლი ირლანდიის თვით-მმართველობისა.

გრაფი დერბი გარდაიცვალა.

11 აპრილი

**პეტერბურგი.** «Бирж. Вѣд.» შეუტყვია, რომ დაზღვევის საქმეთათვის დაარსებულ კომისიას შეუწყნარებია პროექტი, რომლის ძალითაც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უნდა დაარსდეს დამზღვევი კომიტეტი.

დღეს ვოლგა-კამის ბანკის აქციონერთა საზოგადო კრებამ დაამტკიცა 1892 წლის ანგარიში ბანკისა. წმინდა მოგებაა 5,333,167 მან.

**რომი.** მეფე-დედოფლის ქორწინების 25 წლის შესრულების გამო კვირინალის მოედანზედ გაიმართა დემონსტრაცია, რომელსაც დაესწრო 500 სხვა-და-სხვა ასოციაცია რომისა და რომის პროვინციისა; სასახლეში სადილი იყო, რომელსაც 220 კაცი დაესწრო. მეფეს მარჯვნივ ისხდნენ გერმანიის იმპერატრიცა და დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, დედოფლის მარცხნივ—ერცჰერცოგი რეინერი და დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული. სადილის გათავების დროს მეფემ დალია სადღეგრძელო ყველა ხელმწიფეთა და სახელმწიფოების მმართველთა, რომელთაც მეფე-დედოფალს ქორწინების 25 წლის შესრულება მიულოცეს. იმპერატორმა ვილჰელმმა სიტყვა წარმოსთქვა გერმანულ ენაზედ და მადლობა გადუხადა მეფე-დედოფალს კარგად დახვედრისათვის.

**ლონდონი.** დღეს ნაშუადღევის შემდეგ ლონდონის ალბერტ-გალლეში გაიმართა დემონსტრაცია ირლანდიის ბილლის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 1,200 ირლანდიიდგან მოსულმა დელეგატმა. მიტინგს თავმჯდომარეობდა ჰერცოგი ბერკორნი, დაესწრო სულ 12000 კაცი. მიტინგმა დიდის ალტაცებით მიიღო რეზოლიუცია, რომ ბილლი შესაწყნარებელი საქმე არ არისო.

პეტერბურგის ბირჟა, 9 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,61 | 7,68 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152½ | 153½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 242¼ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220¾ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 195¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . . | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 99¼ |

## „ივერიის“ ფოსტა

**ა—ცის.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**გარიელს.** არც თქვენი ლექსი დაიბეჭდება.

**ხარაგოულის საზოგადოების მამასახლისს.** თქვენ ხილი იხილეთ, მეხილეს რასა ჰკითხულობთ.

**მ. აბიათარს.** ამაოდ დამაშვრალხართ. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**სოფ. ზ—ანს დ. ა—ლს.** თქვენს მოწერილს ამბავს ვერა ვბეჭდავთ. ან რა საზოგადო მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომლის შესახებაც თქვენ სწერთ. მეორე კორესპონდენციას-კი თავის დროზე დავბეჭდავთ მცირეოდენის შემოკლებით.

**ძ—ხს. ვ. ბ—ძეს.** თქვენს წერილს ვერა ვბეჭდავთ.

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

. . . . . . . . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის . . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზ მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 აათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: სალამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ ვრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| [illegible] ბანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა .. . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |


## განცხადებანი

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

სალამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ქვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—4)1

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა, ბამბის ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება ყოველ ზემოხსენებულის სეტყვისაგან დაზღვევისათვის. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—18) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტმეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

საავენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—12) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

## მ მ ქ ა რ ხ ნ მ მ ზ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

## ბენდერ-სტეფანოვი

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქ ა რ ხ ნ ი ს ფ ა ს ა დ, ი ა ფ ა დ. (35—20)

ა ხ ლ ა დ გ ა მ ა რ თ უ ლ ი

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—49)


Доз. ценз. Тифлисъ, 11-го Апрѣля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.